ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7926103

ნომერი: AR11143053

თარიღი : 15.05.2026

გაცემის თარიღი : 21.05.2026

გაცნობის თარიღი : 21.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ღოღობერიძე , N 9 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ეფრემიძე პ/ნ 01008050596
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 97

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 15 მაისს №AR11143053 განცხადებით მომართა მარიამ ეფრემიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 15

აგვისტოს №7182283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანებით №01.18.13.020.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 23 სექტემბრის №7225006 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 23 სექტემბრიდან 2027 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 04 ოქტომბრის №7239049 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანებაში და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 1463.5 კვ.მ. დამხმარე ფართობად 117.5 კვ.მ., საერთო ფართობად 11555.6 კვ.მ. ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი: 380.2 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა (მე-2, მე-3, მე-4 ფურცლები) და არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR11054350 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით და არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციულ ფართობად 791.2 კვ.მ-ის ნაცვლად 785.3 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 11555.6 კვ.მ-ის ნაცვლად 11549.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის 380.2 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული კომერციული ფართობი შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი კომერციული ფართობი არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
რაც შეეხება ღია ავტოსადგომების დაფიქსირებას, განვიმარტავთ, რომ სამსახურის 2024 წლის 04 ოქტომბრის №7239049 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანებაში და ღია ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდა 380.2 კვ.მ., შესაბამისად, ბრძანება აღნიშნულ ნაწილში ხარვეზს აღარ შეიცავს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 11549.7 კვ.მ., კომერციულ ფართობად 785.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7182283 და 2024 წლის 04 ოქტომბრის №7239049 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.